ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლურ განყოფილებაში

| | |
|---|---|
| სამეცნიერო ხელმძღვანელები | ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან გვარამია |
| | ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ციალა ქურციკიძე |
| ექსპერტი | ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი თამილა მგალობლიშვილი |
| ოფიციალური ოპონენტები | ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ენრიკო გაბიძაშვილი |
| | ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნანი წაქაძე |
| წამყვანი ორგანიზაცია | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის 29 ოქტომბერს 14 საათზე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საატესტაციო საბჭოს (p 10-11. c № 8) სხდომაზე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში. 380093, მ. ალექსიძის ქუჩა 3.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მ. ალექსიძის ქ. 3).

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის 28 სექტემბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. მელიქიშვილი ნ. მელიქიშვილი



## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა</u>. „შვიდი ეფესელი ყრმის წამება" მეტად პოპულარული ჰაგიოგრაფიული ძეგლია, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ წმინდანებთან დაკავშირებულ დღესასწაულს აღნიშნავენ როგორც მართლმადიდებლები და კათოლიკეები, ისე - ყველა აღმოსავლური ეკლესიის წარმომადგენელნი. მძინარე ჭაბუკთა მოტივი ფართოდაა გავრცელებული ისლამის სამყაროშიც, მას ცენტრალური ადგილი უკავია ყურანის XVIII სურაში. როგორც ე. ჰონიგმანი შენიშნავს, „ეს ამბავი იმდენ ადგილას ჩაიწერა და გადაინუსხა უამრავ ენაზე სხვადასხვა დროს, რომ უიმედო ჩანს მცდელობა, გზა გაიკვლიო ამ უხვი ლიტერატურული მასალის ლაბირინთში".

თხზულების მოკლე შინაარსი ასეთია: იმპერატორი დეკეოზი/დეციუზი (249-251 წწ.) წარმართობის აღსადგენად ჩავიდა ქალაქ ეფესოში, სადაც დიდი რისხვა დაატეხა ქრისტიანებს. სამეფო სასახლეში მყოფმა შვიდმა ჭაბუკმა, რომელთა სახელებია - მაქსიმილიანე, იამბლიქე, მარტინე, იოანე, დიონისი, ანტონინე და ექსაკოსდადიანე - უარი განაცხადა კერპების თაყვანისცემაზე. იმპერატორმა მათ ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვა და მოსაფიქრებლად მისცა მცირე დრო, რადგანაც თვითონ სხვა ქალაქებში აპირებდა წასვლას სალაშქროდ. ამასობაში ჭაბუკებმა დატოვეს ეფესო და თავი შეაფარეს მახლობელ მთაზე მდებარე გამოქვაბულს, სადაც მხურვალე ლოცვის დროს ჩაეძინათ. დეკეოზმა დაბრუნებისთანავე დააპატიმრა მათი მშობლები და მოსთხოვა, გაემხილათ შვილების ადგილსამყოფელი, ხოლო როდესაც ყოველივე შეიტყო, ბრძანა გამოქვაბულის ამოქოლვა.

372 წლის შემდეგ, როდესაც ქრისტიანობა უკვე მყარად იყო სახელმწიფოში ფეხმოკიდებული, როგორც ოფიციალური რელიგია, იმ მიდამოებისა და მახლობელი საძოვრების პატრონმა მოინდომა თავისი ცხვრისათვის ფარეხის აშენება და მონებს უბრძანა, მთიდან ქვები დაეგორებინათ. სწორედ მაშინ გაიღო გამოქვაბულის კარი, ხოლო ღმერთმა გააღვიძა შვიდი ყრმა, რომელთაც ეგონათ, რომ მხოლოდ ერთი ღამე ეძინათ. მათ ეფესოში გაგზავნეს იამბლიქე, მაგრამ მომხდარ ცვლილებათა გამო მან ქალაქი ვეღარ იცნო. ბოლოს, როდესაც პურით მოვაჭრეებს მიაწოდა სამი საუკუნის წინ დეკეოზის სახელზე მოჭრილი მონეტა, ჭაბუკი, როგორც „ძველი განძის მპოვნელი", ქალაქის მსაჯულსა და ეპისკოპოსს მიჰგვარეს, სადაც ყოველივე გაცხადდა. არც იამბლიქეს, არც მის მეგობრებს გაღვიძების შემდგომ დიდხანს აღარ უცოცხლიათ. ხელმეორედ მიძინებამდე მათ